საქართველოს სოც.-ფედერალისტთა ნაციონალისტური პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 48

კვირა, ოქტომბრის 16

1921 წ.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

**განსახილველი საკითხები:**

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამილახვარი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

## „ბავშვის კვირა“

პროლეტარულ ბავშვთა დახმარების საკითხი ერთი იმ პრაქტიკულ საქმეთაგანია, რომელიც მოითხოვს სოციალისტური მთავრობისაგან დიდს ყურადღებას და შესაფერის ზომების მიღებას.

კაპიტალისტურმა მეურნეობამ მრავალ ოჯახს დაუკარგა მყუდრო ბინა და მდელვარე ქუჩებსა და ნესტიან სარდაფებში მიუჩინა საცხოვრებელი ადგილი. კაპიტალისტური კულტურის მთელმა სისტემამ, მისი მრავალი ათეული წლის მოღვაწეობამ მოკვეცა სოციალური ცხოვრების ის დიდი ნაწილი, რომელიც სიღარიბეში, სიმწუხარეში და თავისი შრომის ყოველდღიურ გაყიდვაში ატარებს მთელს თავის სიცოცხლეს. ეს კლასი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მოკლებული ყოველგვარ საშუალებასა და დოვლათს, იძულებული იყო უმეცრებასა და სიბნელეში გაეტარებინა თავისი არსებობის დღეები. კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეები მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ ის აღარ შეესაბამება საწარმოო ძალთა განვითარებას და რეაქციონურ ფაქტორს წარმოადგენს; ზნეობრივად და კულტურულად კაპიტალიზმი უარსაყოფია მით, რომ მან შექმნა ადამიანისაგან ადამიანის მონობა, განამტკიცა მთელი რიგი მუქთა ხროვათა, რომელნიც თავიანთ ბედნიერებას სხვის ყელზე და დამონებაზე აშენებენ, სხვისი შრომის მითვისებაზე აგებენ თავიანთ ბატონობას; ამ მხრივ კაპიტალისტური კულტურის ამორალიზმი ნათელი და გასაგებია. ამ „კულტურამ“ კაცობრიობას მისცა მილიონობით დამშეულები და ქუჩის მცხოვრებნი.

ამ „კულტურის“ გახრწნილებაში იღრჩობოდა, და დღესაც იღრჩობა, მრავალი ნორჩი თაობა და კარგავს თავის ახალგაზრდულ მიმზიდველობასა და ენერგიას.

„ნორჩი თაობა“ ახალ ცხოვრების ჯეჯილია, მისი სამედო ძალა და იმედი. ეს ახალი ძალა, ცხოვრების ნორჩი ჯეჯილი შეუდარებელის სისასტიკით იდრწნებოდა ძირმომპალ კაპიტალიზმის ბატონობის ბრჭყალებში და არ ჰქონდა საშუალება გაშლისა და აყვავებისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც პოლიტიკურად მოხდა ძველი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლიკვიდაცია, სადაც არსებითად შეირყა კაპიტალის ბატონობის ნიადაგი, მემკვიდრე რევოლუციონური მთავრობებს ამ მხრივ ძველმა წყობილებამ დიდი პროლეტარული ნორჩი თაობა გადმოსცა მოსავლელად და საზრუნავად. მაგრამ იმ სასტიკი და შეუდარებელს ბრძოლაში, რომელიც გაუმართა საბჭოთა რესპუბლიკებს საერთაშორისო რეაქციამ შეუძლებელი შეიქმნა „ნორჩი თაობისა“ და საერთოდ პროლეტარულ ოჯახის შესაფერის პირობებში ჩაყენება. საბჭოების მთელი ენერგია საომარმა მდგომარეობამ და ფრონტებმა მიიპყრო, შინაური აღმშენებლობა და ცხოვრების მოწესრიგება მეორე ხარისხის საკითხი შეიქმნა თითქმის. ამ რთულ ნიადაგზე ბრძოლების ... მეუძლებელი შეიქმნა „ნორჩი თაობის“ ცხოვრების შესაფერისად გამოსწორება და მისი სათანადო დონეზედ ამაღლება.

დღეს, როდესაც საგარეო ფრონტები მოისპო და საბჭოთა მთელი ენერგია შინაურ ფრონტებისაკენ იქმნა გადმოტანილი, აღორძინებულ ცხოვრების დასალაგებლად და აღორძინებლად, სხვა მრავალ კითხვათა შორის, ნორჩი თაობის საკითხიც წამოიჭრა ჩვენს წინ და მორიგი საკითხის წყებში ჩადგა. ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესობა მისი სოციალური უზრუნველყოფა, შეტანა პროლეტარიატის „ნორჩ თაობაში შეგნებისა და მორალური ელემენტების მათი კულტურული ამაღლება და აღზრდა—ეს დიდი კითხვებია, რომელნიც არსებითსა და სერიოზულს ყურადღებას მოითხოვს რევოლუციონურს მთავრობისგან. მაგრამ ამ დიდსა და თითქმის უძველეს ეკონომიურს კრიზისების ხანაში, როდესაც ჩვენი სასურსათო მდგომარეობა გართულებულია და კარზე შიმშილის აჩრდილი გვიდგას, მარტო სახელმწიფოს ძალით ამ საკითხის გამოსწორება და გაუმჯობესობა შეუძლებელი ხდება. საჭიროა საზოგადოებრივი ძალების ამოძრავება, ფართო მასების ამოქმედება და მათი დახმარება. საქართველოს რევკომმა ამ გარემოებას არსებითი ყურადღება მიაქცია და განსაკუთრებული დადგენილებით ოქტომბრის 15-დან 22-დე „ბავშვთა კვირის“ გატარებას შეუდგა. საზოგადოება მოვალეა ამ ფრიად სიმპატიურს საქმეში მთავრობას შესაფერისი დახმარება აღმოუჩინოს.

ჩვენ გვიხდება ბრძოლა და მოქმედება ძლიერ დიდს ეპოქაში, როცა იმსხვრევა ძველი სოციალური ცხოვრების საფუძვლები და ნიადაგი ეყრება ახალს სამართლიანსა და მიზანშეწონილს წყობილებას. ამ გარდამავალს პერიოდში, როდესაც ყოველი მოვლენა აჩქარებულის ტემპით იცვლება და მოძრაობს, ჩვენი მოვალეობაა დიდი ყურადღებით ავუჭრვოთ ნორჩი ახალგაზრდობის საკითხი და მათი ნორმალურს პირობებში ჩაყენებით შესაფერისი მემკვიდრე თაობა აღვზარდოთ მომავალ წყობილებას.

ჩვენი იმედი ნორჩი თაობაა.

ხ. დეგაძე.

## შევარდენი კახეთში

2.

ალავერდისაკენ.

ორშაბათს 26 ენკენისთვეს დილიდანვე შეუდექით სამზადისს. მივიღეთ რევკომიდან სათანადო ბარათები პურის, ხორცის და ყველის მისაღებათ სამი დღისათვის. შევიყიდეთ ბაზარზე სხვა სანოვაგეც და თითქმის მზათ ვიყავით წასასვლელად, მაგრამ არ სჩანდა ათასეულიდან დანაპირები ორთვალა.

ერთი სამარცხვო კი ჩვენი თხოვნისთანავე გამოგზავნა ჩვენ ყოფილ შევარდენმა, ბრიგადის შტაბის უფროსმა მიხეილ ფარეიშვილმა. შუადღემდის უცდიდით ათასეულიდან ორთვალას, რის შემდეგაც ელსმენით შევეკითხეთ და მივიღეთ უარი, რამაც ძლიერ დაგვღონა და დაგვაბრკოლა კიდეც. იძულებული ვიყავით ერთ ურემის მაგვარ სამარცხვოზე მოგვეთავსებინა ტანსაცმელში იარაღები და ზოგიერთი ბარგიც. სამარცხვო იარაღებით და ბარგით ჩაბარდა ვასოს, რომელსაც მიეცა აგრეთვე რამოდენიმე დამხმარე შევარდენები.

ორ საათზე შევუდექით გზას. გასავლელი გვაქვს თვრამეტი ვერსი. ამინდი მშვენიერია. სიცხე არ გვაწუხებს. მზის სხივებს გამათბობელი ძალა არა დაუკარგავია. თელავიდან გავედით არა მწყობრით, არამედ გაფანტულად ჯგუფ ჯგუფად.

აგერ გურგელა ერთი ჯგუფით. მეორე ჯგუფს გიორგი მეთაურობს, მესამეს თამრო, მეოთხეს არჩილი და ასე ამგვარად ერთ ჯგუფად მივდივართ ჩვენ, აქვე არიან კოლა ზალდასტანიშვილი, პეტრე ჩარექიშვილი, რომელიც ფეხით ჩვენთან ერთად წამოვიდა ალავერდში. თელავიდან და თელავის ახლო მახლო სოფლებიდან მიდიან და მიდიან სადღესასწაულოთ მორთული ურმები, და სხვა ეტლები, ცხენოსნები და ფეხოსნები, მილიციელები და წითელ არმიელები. ერთი სიტყვით დაიძრა მთელი კახეთი. ალავერდისაკენ მიდის დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

აგერ ჩაგვიქრიალა ორთვალამ, რომელშიაც ისხდნენ ჩვენი სამშობლოს სიამაყენი შიო მღვიმელი და საშა აბაშელი. მას მოჰყვება ვიღაც ჩოხოსანი „ლინეიკით“, რომელზედაც ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ჩვენს შევარდენებს. მომენტს არ კარგავენ, სადაც შესაძლებელია ეწყობიან. პირველი სოფელი, რომელზეც გვიხდება გავლა—ვარდისუბანია. როგორც გადმოგვცემენ და ხალხშიაც ასეთი თქმულება დღემდი შენახულია, როდესაც მეფე ერეკლეს ამ სოფელზე გაუვლია, ყველაზე მეტი ვარდი მეფის შესახვედრათ ამ სოფლიდან გამოუტანიათ და როგორც სჩანს მის შემდეგ დარქმევია იმ სოფელს ვარდისუბანი.

სოფელ ვარდისუბნის შემდეგ გასავლელი გვაქვს რიყე, მდინარე თურდოს კალაპოტი, რომელშიც წვეთი წყალიც კი არ არის. რიყის შემდეგ იშლება მეორე სოფელი—რუისპირი.

გარეთ გამოფენილა მთელი სოფელი. ხალხი ბევრი მიდის გზაზე ალავერდისაკენ და სოფელიც ხედავს მათ. ვის ყურძენი გამოუფენია გასაყიდათ, ვის სხალი და ატამი. ყიდულობს ყველა თუმცა მედარე ით ძვირია. ყიდულობენ შევარდნები ხილეულობას, შეექცევიან და თანაც მიიწევენ ალავერდისაკენ ხან ერთი ჯგუფი უსწრებს, ხან მეორე. ზოგიერთი გუნდი-შევარდნები უპერანგოთ, გულ მკერდ-გაშიშვლებული მიდიან. ეუცხოება სოფელს უცნაური სანახაობა შევარდნებისა: ვაჟები ნახევრათ შიშველი, ქალები კი შევარდნულ შარვლებში. მათ გაკვირვებას არ აქვს საზღვარი.

ერთ მოხუცი ქალის შეკითხვაზე,—თუ რისთვის მივდივართ ზოგი ფეხშიშველი, ზოგი ტანშიშველი, ყველანი უქუდოთ, კოლა ზალდასტანიშვილმა ხუმრობით უპასუხა:

„შეთქმული გვაქვს დედი. სალოცავათ მივდივართო“.

გიორგი ნიკოლაძის დანახვაზე, რომელსაც არც პერანგი ეცვა და არც ფეხსაცმელები ერთ ქალმა შეჰკივლა: „უი, ეს რა ნახა ჩემ თვალებმაო“ და გადიხარხარა, რამაც მთელ შევარდნებში მართლაც რომ ხარხარი გამოიწვია.

სწრაფი ნაბიჯით მივიწევთ ალავერდისაკენ ალავერდის ტაძარი, რომელიც თეთრათ მოსჩანს ალაზნის ველზე, თანდათან გვიახლოვდება, თან და თან უფრო გარკვევით მოსჩანს. აგერ ჩავიარეთ სოფელი კონდოლი: კავკასიონის ქედი მედიდურათ გადმოჰყურებს ალაზანს და ალავერდს. თუშეთი და ფშაველთის მიდამოები ჩვენთვის უკვე ნათელია.

კახეთის იმ მიდამოებში სილამაზეს არ აქვს საზღვარი, ტყუილა კი არ უთქვამს პოეტს:

„ვაშ, კახეთო, რა ლამაზი ხარ, რა ნაზი და რა წარმტაცი!
ქვეყანაზე ვერ იპოვის შენზე ტურფა მხარეს კაცი;
თვალს ხიბლავს და გულს იტაცებს შენი ველი, შენი მთები,
თვით სატანას აჯადოვებს, როცა მწვანე ნეთ მოირთვები—
ალაზანი გულ-მკერდს გირწყავს, ცივ-გომბორი თავს დაგყურებს
მთის ნიავი დაგჩურჩულებს, დილის ნისლი ნამს გაპკურებს,
მზის სხივები ყელს გკოცნავს, ბადრი მთვარე გიღიმის,
მერცხალთ გუნდი დაგჭიკჭიკებს და ბულბული გითხზავს ლექსებს“..
(იგ. ყიფიანი. კახეთის ბუნება).

შეუძლებელია; რომ კახეთის ბუნებამ არ მიიზიდოს ადამიანი, ისეთი კარგია მისი იდუმალობა. აი მაღლიდან მყოფი ალავერდის მიდამოებში გაცქერი ირგვლივ მშვენიერ სურათს: ჩრდილოეთით კავკასიონი, მის ქვემოთ თუშ-ფშავ-ხევსურეთი, სამხრეთით ცივ-გომბორი და მის კალთებზე შუამთის მონასტერი, აღმოსავლეთით დიდოეთი და საინგილო, ქვემოთ კი თელავის მიდამოები, დასავლეთით კი გზები მიმავალი მთებში თუშეთ-თიონეთში და ტფილისისაკენ. და ყოველივე ამის შუა მოფარგლული ალაზნის ველი და ზედ ამართული ალავერდის ტაძარი. გასცქერით რა ამ სურათს, გაგცქერით მასთანვე ჩვენი სამშობლოს კარგს მომავალს, რომელიც ასეთ ბუნების წიაღთა ცქერაში, როგორც სიზმარში, ისე მოსჩანს და ხედავ თავისუფალი კოხტა საქართველოს, სადაც მის მშვენიერ ბუნებასთან ერთად თავისუფლათ ნავარდობს ქართველი მშრომელი ხალხი, ვით მძლავრი, კოხტა მთის ფრინველი, რომელსაც ჰქვია შევარდენი. გატაცებული ამ ოცნებათა ბურუსში, გვავიწყდება ყოველივე, მაგრამ ჩვენი შევარდენთ მოხდენილი სიმღერა გვიმოგვარკავთ ამ გატაცებიდან და გადახედავ რა ლაღათ და სხარტათ მომავალ ჯანღონით სავსე ახალგაზრდობას, რწმუნდები ჩვენი მშრომელ ხალხის კარგ მომავალში, რწმუნდები საქართველოს სიდიადე-სილამაზეში. ძალა და იმედი გემატება, გრძნობ თავს ვაჟკაცათ და მიდიხარ წინ და წინ, სადაც მოგელის დიდებული სანახაობა. ეს არის ალავერდი, ეს არის ალავერდობა, სულ ახლო ვართ ალავერდთან. აგერ მოდის ურემი, რომლის პატრონიც მოსთქვამს ურმულს და ეს ურმული დამინდებისას თავისებურ კვალსა სტოვებს მსმენელთა შორის. იმ ურმულში გამოსჭვივის ჩვენი ხალხის ნაზი გული, იმ ურმულში გადაშლილა საქართველოს კოხტა გული. ალბათ ამასვე გრძნობს მისი შემსრულებელი, რომელიც ურმულის თანხლებით მიერეკება თავის კამეჩებს. ჩვენც მივსდევთ მას და ვერც კი ვამჩნევთ, როგორ შევდივართ ალავერდის ტაძრის მიდამოში.

ი. ახვლედიანი.

## ახალი ამბები

— **აფხაზეთის რევკომის** დეკრეტით შემოღებულია სახელმწიფო გადასახადი პურზე და ღვინოზე. სასურსათო გადასახადი გადახდილი უნდა იქმნას 1 იანვრამდე. გადასახადი ეხება მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელთაც აქვს მოთხოვნილების ზედმეტი პროდუქტი.

— **სოხუმი.** სახალხო საშინაო კომისარიატის ბრძანებით მოწყობილია სამეული განსაკუთრებული კომისიის და მილიციის წარმომადგენლთაგან, რომლის ფუნქციაში შედის შეხვედრა და გაჩხრეკა თითეული მოსული გემის მგზავრებისა.

— **სახალხო განათლების კომისარიატი** მთლიან შრომის სკოლის მასწავლებელთა შრომის შეფასებას ახდენს ახალი ტარიფის ჯამაგირებით.

— სეკრეტარიატმა დაადგინა დამთავრდეს ფოთში შრომის სასახლის აშენება, რომლისათვის მოწყობილია სპეციალური სააღმშენებლო კომისია, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს სახალხო ბანკის წინაშე სათანადო კრედიტის მიცემაზე.

— ოქტომბრის რევოლუციის 4 წლ. თავის საზეიმოთ ყველა თეატრებში, კინემატოგრაფებში იდგმება პიესები და სურათები რევოლუციონური მიმართულებისა.

— ოქტომბრის 15—25 დე „ბავშვის კვირის“ სასარგებლოთ ყველა თეატრებში და კლუბებში გაიმართება წარმოდგენები და სურათები. მოქალაქენო თქვენზეა დამოკიდებული „ბავშვის კვირის“ წარმატება.

— **ტფილისის შევარდენის საჯარო ვარჯიშობა.** კვირას 16 ოქტომბერს შუადღის 12 საათზე ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის ეზოში რუსთაველის ქუჩაზე, საქართველოს შევარდენთა კავშირი მართავს ტფილისის შევარდენის საჯარო ვარჯიშობას ნაჩვენები იქნება ქალ-ვაჟთა თავისუფალი ვარჯიში-მოძრაობანი, იარაღებზე ვარჯიშობა, კრივი-ჭიდაობა, ფარიკაობა, ფეხბურთი-გუნდობა მოძრაობანი და ვარჯიშობანი სწრაფვ ჩასაბერ ორკესტრის თანხლებით.

— დღეს, ოქტომბრის 16-ს, საღამოს 7 საათზე სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის სხდომა. გამგეობის წევრებს ევალებათ აუცილებლივ დაესწრონ.

გამგეობის პრეზიდიუმი.

— **ლექცია საქართველოზე.** დღეს 16 ოქტომბერს, კავკასიის მედიკურ საზოგადოების დარბაზში (გეორგიევის ქ. პუშკინის ბიბლიოთეკის ზევით) შესდგება ლექცია პეტრე უმიკოვის: „ბიბლია და „ქართველთა წარმოშობა“. პოეტი რიურიკ ივნევი წაიკითხავს ლექსებს საქართველოსადმი მიძღვნილს. ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე. ორშაბათს 17 ოქტ. წაკითხული იქნება იქვე: „კავკასიის უძველესი ისტორია ახალი მეცნიერების დასკვნებით“. ბილეთები იყიდება ბიბლიოთეკის შესავალთან.

## რუსეთი

— **მოსკოვი.** (დასაწყისი არაა მიღებული) იმ დროს, როდესაც მზადდება საერთაშორისო ბიუროს ყრილობა განიარაღების საკითხისათვის, ერთა ლიგის მიერ შედგენით კომისია, სცდილობს შთაგონოს მსოფლიო ომის დამნაშავეებს სარგებლობა განიარაღებისა. ამ გვარად ხდება დამხობილება ამსტერდამის ინტერნაციონალის მეთაურებსა და ერთა ლიგის მეთეურებთა შორის, რომლითაც ყიდიან ნარდათ მუშათა კლასის ინტერესებს ნაციონალური და ინტერნალური ბურჟუაზიას.

სინდიკალური ორგანიზაცია ყველა ქვეყნებისა, ყველა პატიოსანი ელემენტები პროლეტარიატისა აღშფოთებით უნდა წინააღუდგეს თვალთმაქცობას რომელიც გრძელდება მუშათა ორგანიზაციების გახრწნის მიზნით. ნუ მიიღებთ მონაწილეობას საერთაშორისო ბიუროს ყრილობაში, ნუ იქონიებთ დამოკიდებულებას ვაშინგტონის განიარაღების კონფერენციასთან. ინტერნაციონალური კავშირი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს, რომ ენერგიულად წინააღუდგნენ ყოველგვარ ცდას ბურჟუაზიასთან შეთანხმებისას და მოუწოდებს მათ ერთი პროლეტარული ფრონტის დამყარებისათვის, რომლის მიზანია მოსპობა კაცისაგან კაცის ექსპლოატაციისა. ძირს ერთა ლიგა და ბურჟუაზიული ორგანიზაციები, რომლებიც უმორჩილებენ მუშებს კაპიტალს.

**ნიკოლაევი.** კომ. განყოფილებამ დაასრულა ძეგლის აგება იტალიელ მეზღვაურებისათვის, რომლებიც დაიღუპნენ ოდესის ახლო. ძეგლი დაიდგმება ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე.

**მოსკოვი.** სამარის გუბერნიაში დამშეულ ბავშვთა 16 წლამდე მიხწეულთა რაოდენობა 1,160,000 სულამდე აღის. 100,000 ბავშვი გადაგზავნეს, მილიონი მოითხოვს დახმარებას.

**მოსკოვი.** 27 სექტემბერს საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა პეტროგრადში 8 გემი 827,600 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით, მათ რიცხვში არის რკინის გზის მასალა. ნახშირი, სამიწათმოქმედო მანქანები და სხვა და სხვა სანოვაგე. პეტროგრადში ჩამოიტანეს საზღვაოგარეთიდან რამდენიმე გემმა რკინის გზების მასალები, ბოთლები, ქნრი საპონი და ნახშირი ორ მილიონი ფუთამდე.

**მოსკოვი,** 11 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა მე 3-ე ყრილობა სრულიად რუსეთის ქიმიკოსებისა. ჩამოვიდა 180 დელეგატი, რომელთა რიცხვში 75 პროც. კომუნისტებია. ყრილობის საპატიო წევრად აირჩია ლენინი, ტროცკი და კალინინი. პირველ სხდომაზე მოსმენილი იყო მოხსენება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ.

**მოსკოვი.** ყოველგვარი ცდა საერთაშორისო ბურჟუაზიისა, რუსეთის რევოლუციის ჩასაქრობლად დამარცხებით თავდება. რუსის ემიგრაციის ზოგიერთ ნაწილებში აღიზარდა მტკიცე რწმენა რომელიც დამყარებულია პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია და მასთან ბრძოლა უაზრობაა. ამ ახალი თვალთახედვის ანარეკლად უნდა ჩაითვალოს ცნობილი პრაღაში გამოცემული კრებული, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს გამოჩენილი ლიტერატურული ძალები, ძველი რუსეთისა. პროფესორი ავსტრიაგოვი, კლუჩნიკოვი, და ცნობილი ვექი ლი ბობრიშჩევ-პუშკინი. გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავე სტატიაში მოჰყავს ამ კრებულიდან ზოგიერთი ადგილები: საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია, მისთვის, რომ მას თავის მკერდით იცავს მთელი მსოფლიოს მუშათა მასები. საბჭოთა ხელისუფლება ხალხს თავისი მიზ-

ჩნია. დიდ ცუდია, მაგრამ თავისია ხალხს აქვს მასთან საერთო ენა (ზოგიერთ დამახინჯებულია).

# უცხოეთი

კონსტანტინოპოლი. ანატოლიის სააგენტო იუწყება რომ ბერძნებმა გაანადგურეს 14 სოფელი. სმირნის მაზრაში. მათ დახვრიტეს ტყვიის-ფრქვეველებით აღნიშნულ სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც თავმოყრილი იყვნენ მეჩეთში.

კონსტანტინოპოლი. ოსმალოთა პრესის ცნობით, რუმინიის მთავრობამ აღუკრძალა ოსმალებს, რომელთაც აქვს ოტომანიის დოკუმენტები, თავის ტერიტორიაზე გავლა.

ნაუენი. 22 ოქტომბერს ლონდონში მოწვეულია უმაღლესი საბჭოს საგანგებო სხდომა ერთა ლიგის წინადადების განსახილველად.

მოსკოვი. რუმინიის ბურჟუაზიული გაზეთი „ოპინია" სწერს: ყველა მეფის მომხრეებს გზა გაეხსნათ ბესარაბიაში, რომლებმაც ის გადააქციეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგის კერად. ყველა ვინც კი უკმაყოფილოა მოსკოვის ეწყობა ბესარაბიაში,

ბერლინგერ.-ტაგებლატის ხელახლა იმუქრება გერმანიისა და რუსეთის დაკავშირებით, გაზეთი სწერს: თუ რომ ანტანტა გვაიძულებს დავემორჩილოთ მის გადაწყვეტილებას ჩვენ იძულებული ვიქნებით იმედი დავამყაროთ რუსეთზეო".

— ჰელსინგფორსიდან იუწყებიან. რომ შეერთებულმა სატყეო მრეწველობის სამთო-მადნო მუშების კავშირთა ყრილობამ, რომელიც გაიხსნა ჰელსინგფორსში 5 ოქტომბერს, ითათბირა ინტერნაციონალის საკითხის შესახებ და დაადგინა: შევიდენ ტრანსპორტის, მუშების წითელ კავშირში და გაატარონ ცხოვრებაში კანტროლი წარმოებაზე. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელსაც წინადადება მისცა პროფ. ორგანიზაციებს გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი სოც.-დემოკრატიულ გაზეთებთან და დაიჭირონ მათთან ისეთივე პოზიცია, როგორც ბურჟუაზიულ გაზეთებთან.

ლონდონი. 20 ათასი უმუშაოთ დარჩენილ მუშებმა ლონდონში დემონსტრაცია მოახდინეს, მათ დაუტაკა ცხენოსანი პოლიცია მძიმედ დაჭრილია 14 კაცი გლაზოში 9 ოქტომბერს უმუშევრებმა ქალაქში დემონსტრაცია გამართეს, მანჩესტერში შესდგა უმუშევართა მასიური მიტინგი. გაზეთები იუწყებიან თვითმწვლელობას უმუშევრობის ნიადაგზე. კომუნისტური გაზეთები მოუწოდებენ მუშებს დაიპყრონ ფაბრიკები, როგორც ერთად ერთი გასავალი შექმნილ მდგომარეობიდან. ტეხნიკური წარმოების კრიზისი მწიფდება. წარმოების წამოწყებნი მოითხოვენ ხელფასის შემცირებას წინააღმდეგ შემთხვევაში ლოკაუტით იმუქრებიან, მილიონზე მეტს მუშას ძოელის უმუშევრობა.

# სათეატრო სეზონის გამო

ოპერის თეატრში სეზონი უკვე დაიწყო, სულ მოკლე დროში დრამის თეატრიც დაიწყებს მუშაობას. თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს საერთოდ და მით უმეტეს მუშათა კლასისათვის, ყველას მოეხსენება. სამწუხაროდ ამ უკანასკნელს დღეს არავითარი საშუალება არა აქვს იყიდოს სათეატრო ბილეთები. ამიტომ მათ უფასოდ უნდა მიეცეს და ეძლევა კიდეც, მაგრამ, როგორც ირკვევა საკმაოდ ცოტა.

როგორც გადმომცა ერთ ერთ პროფკავშირის გამგეობის წევრმა, თურმე მთელს კავშირებს მხოლოდ ხუთმეტი პროცენტი ეთმობა ბილეთებისა ყოველდღიურად. ეს კი ისე ცოტა ყოფილა, რომ თვითეულ მუშას წლის განმავლობაში ერთხელ მიეცემა საშუალება მოისმინოს ოპერა ანდა მოხვდეს დრამის თეატრში.

საჭიროა შეიცვალოს ასეთი წესი და მუშა-მოსამსახურეებს დაეთმოს გაცილებით მეტი ბილეთების რაოდენობა. ეს მგონია უკეთესი იქნება შაბათობით და კვირაობით წარმოდგენები გაიმართებოდეს მხოლოდ მუშა მოსამსახურეებისათვის, ანდა ყოველდღიურად დაეთმობოდეს მუშებს ორმოცდა ათი პროცენტი დაკლებულ ფასებში, ვფიქრობ, უკანასკნელი უფრო მისაღებია. ამით ჩვენ მოგვეცემა საშუალება თეატრში სიარულის, თორემ დღევანდელი ბილეთების საყიდლად ვერც ერთი მუშა ვერ მიუდგება სიძვირის გამო და არც ის დააკმაყოფილებს, რომ მთელი წლის განმავლობაში ერთხელ მოხვდეს თეატრში.

ა. ლ.

## შევარდნებს

(ანაზდეულათ)

არწივთა თვალები ბრწყინავს ვარსკვლავებად,
ფოლადის ნაბიჯი გიმშვენებთ სიარულს,
ვეფხვები მიგიძღვით წინ ვარჯიშთავებად,
მიდიხართ და იწვევთ ვაშას და ქრიამულს.

გვიტაცებს ხალისი გიჟური, მარადი,
„ვარსკვლავი", „სამშობლო", თამაში „გუნდობით".
გვაბრმავებს სინაზით ძვირფასი პარადი.
ხალხისგან ყოველთვის ნადაფნი ბრუნდებით.

ათასი სალამი შევარდენ რაინდებს.
სილამაზისათვის დე მუდამ იწვოდეთ -
და თუ საქართველოს მტერი არ დაინდობს,
გმირულ სიცოცხლესთან სიკვდილიც იცოდეთ!

იოანე ყიფიანი.

# დადგენილება № 81

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის მოწყობის შესახებ.

1. ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობად დაარსდეს ცენტრალური კომისია, სადაც შევლენ წარმომადგენლებად: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომისია, სადაც შევლენ წარმომადგენლებად: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან ამხ. ა. თუმანიშვილი, კომუნისტურ ახალგაზრდა კავშირის ცენტრალურ კომიტეტისაგან ამხ. სემერლიევა, ცალკე კავკასიის არმიისაგან ამხ. ვოსკრესენსკი, საქართველოს წითელ არმიისაგან, ამხ ეკმანი, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან ამხ. ყურულაშვილი, კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტისაგან ამხ. ივანოვი და განათლების სახალხო კომისარიატისაგან ამხ. კანდელაკი.

შენიშვნა: ცენტრალურ კომისიაში თავმჯდომარეობს საქართველოს კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელი.

2. მაზრებში და რაიონებში, იმავე პრინციპის მიხედვით, არსდება ადგილობრივი კომისიები ადგილობრივ პარტიულ კომიტეტის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

3. ცენტრალური კომისია, თავის იგვე შეხედულებით, გამოიყენებს დამხმარე კომისიებს და ცალკე პირთ.

შენიშვნა: ყოველი დამხმარე კომისია და კერძო პირი ვალდებულია იქონიოს ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერილი და საქ. კომუნ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბეჭედ-დასმული მანდატი.

4. დღესასწაულის პროგრამას და ხარჯთ-აღრიცხვას შეიმუშავებს ცენტრალური კომისია და დაამტკიცებს საქართველოს რევოლ. კომიტეტი.

5. ყოველი განკარგულება დღესასწაულის მოწყობის შესახებ უნდა იყოს ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის ბეჭედ დასმული, ხოლო ადგილობრივ-იქაური კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერილი და პარტიულ კომიტეტის ბეჭედდასმული.

6. ყველა სახელმწიფო დაწესებულება მოვალეა გაუწიოს ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის მოწყობა ცენტრალურ და ადგილობრივ კომისიებს ყოველგვარი დახმარება.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხაღარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

# ამხ. მ. ჩხეიძის საპასუხოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს № 181-ში დაბეჭდილია ჩემი წერილის პასუხი თბილისის ქალაქის გლეხთა და მუშათა მილიციის უფროსის მ. ჩხეიძისა. როდესაც ჩვენ წერილი დავწერეთ გაზ. „ტრიბუნა"-ში სათაურით: „ძარცვა ტფილისში" ჩვენ რასაკვირველია მართლაც ძარცვლები გვყანდა სახეში, რომლის მსხვერპლიც ჩუღურეთის რაიონის არა ერთი და ორი მცხოვრები მოქალაქე შეიქმნა. ჩვენ ამას ვამბობთ მართალს; აშკარად, თამამად, საქვეყნოდ და როგორი საჩუქილიც არ უნდა მიაკეროს ჩვენი წერილის შინაარსს ამხ. მ. ჩხეიძემ, ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება.

წერილს ვწერდით ავაზაკებზე, და ერთი წუთითაც არ მოგვსვლია აზრად არც მენშევიკების და არც ბოლშევიკების მომენტი. ბოლშევიკების დროს ჩვენ ამ თემაზე უკანასკნელის მეტი არც ერთი წერილი არ დაგვიწერია და მენშევიკების დროს კი რამდენიც გნებავთ. კეთილი ინებეთ ამხ. ჩხეიძევ, და ჩვენ მიგითითებთ გაზეთ „სახალხო საქმი"-ს ნომრებზე, რომელშიაც ძალიან ბევრსა ვწერდით მილიციაზე, განსაკუთრებულ რაზმზე, გვარდიაზე, დამფუძნებელ კრებაზე, მთავრობის წევრებზე, დეპუტატებზე და სხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთი მათგანი იუპიტერის როლში არ გამოსულა და ჩვენ გვაკვირვებს ამხ. ჩხეიძეს რატომ სურს, რომ ჩვენი წერილის შინაარსი მხოლოდ თავისებურად გაიგოს და საკითხი სულ სხვა სფეროში გადაიტანოს.

ჩვენს წერილში ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ის დეფექტები, რომელსაც სამწუხაროდ ჰქონდა ალაგი, მაგრამ ჩვენ ის არ გვითქვამს, თ. თქოს ამ დეფექტებს ჩვენი ქალაქის მილიცია ხელს უწყობდეს ან და ხელოვნურად ეფარებოდეს. ჩვენ ვფიქრობდით და ახლაც ვფიქრობთ, რომ მილიცია ავაზაკებთან ბრძოლაში მოისუსტებდა. ამის მიზეზი გახლდათ შტატის სიმცირე, განაპირა უბნებში დარაჯების არ ყოლა, ბევრ ალაგას და ბევრი ისეთი ელემენტების მილიციაში ყოფნა, რომელთაც არა აქვთ კარგი წარსული და ასეთმა პირებმა მხოლოდ სხვა და სხვა მოსაზრებით შეაფარეს თავი მილიციაში ნუ თუ ყველაფერი ეს ამხ. ჩხეიძეს არ მოეხსენება?

სიმართლე უნდა მოგახსენოთ ამხ. ჩხეიძე, რომ არა თუ მარტო ჩვენ, არამედ ბევრ ტფილისის მოქალაქეში იწვევს გაკვირვებას ის გარემოება, რომ თქვენ გაზ. „კომუნისტი"-ს ფურცლებზე გამოხველით ისეთი ტონით, რომელიც არ იყო მიზან-შეწონილი და რაც უმთავრესია—არ შეჰფეროდა თქვენი თანამდებობის კაცს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენი წერილი გაფრთხილებდა მილიციასა, მოქალაქეებსაც და თქვენც სათანადო ზომების მიღებით, გაუწევდით მას ანგარიშს, მაგრამ პირიქით—ჩვენი წერილის შინაარსი თქვენ სხვა მიზნით გინდათ გამოიყენოთ და თქვენი წერილის პასუხი ჩემდამი მომართული—მუქარაზე ააგეთ.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ნუ თუ იმას, რომ მოქალაქეს არა აქვს ნება ადმინისტრაციას თავის მოქმედებაში მოსთხოვოს ანგარიში? ჩვენი გაგება ასეთ შემთხვევაში სრულიად წინააღმდეგია და ამავე აზრისა ვიქნებით შემდეგშიაც.

რაც შეეხება ფრაზებს—„მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება, პროვოკაციული სუნი, პროვოკატორი მზაკვრობა და სხვა, უნდა მოგახსენოთ, ეს ხერხი ძველად იყო ხმარებაში და გვგონია დიდი გასავალი ექნება ეხლა და მით უმეტეს, რომ ჩვენ კარგად გვიცნობენ და იციან დანგრევა გვინდა ჩვენი მთავრობის თუ გამაგრება.

გულწრფელად დაგვეთანხმეთ, ამხ. მ. ჩხეიძე, რომ არავითარი სურვილი არა გვქონდა ჩვენი მილიციისათვის ჩირქი მოგვეცხო და, როგორც თქვენ ამბობთ, „საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოგვეწვია". ავაზაკ-ქურდებმა ბევრი სახლები გასტეხეს, ვიმეორებთ დღისით, მზისით. ის ასეთ ამწყობი მუშა, რომელმაც ქურდი შეიპყრო და მოპარულ ნივთებს ქურდი მუშას (ნივთების პატრონს) ელარ ანებებდა, ეს ამბავი ამხ. ჩხეიძე, „მოპარული" კი არ გახლავთ, არამედ ჭეშმარიტებაა—ის მუშა ჩემი ამხანაგია და ორივენი ამ ერთი თვის წინეთ ერთ დაზგაზე ვმუშაობდით და ნუ თუ ყველაფერი ამის თქმა, დაწერა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მილიციას ჩირქსა ვცხებთ და არსებულ მთავრობის წინააღმდეგ ვმხედრდებით?

თქვენ წინადადებას გვაძლევთ—სახელდობრ 1-ლი „გაუქმნათ ფრჩხილები და თამამად ვსთქვათ ის, რისი თქმაც გვსურს". წინა წერილში ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ამ პატარა გაზეთის ფურცელზე ყველაფრის დაწერა და დატევა არ შეიძლება და მით უმეტეს თქვენი წერილის შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ დროებით თავი შევიკავოთ და კითხვის პასუხი ფრჩხილებში დ ვტოვოთ. ამ ნიადაგზე ჩვენ ვმუშაობთ და ახლო მომავალში, თუ თქვენი სურვილიც იქნება, მზათა ვართ სამსახური გაგიწიოთ—პრესით თუნდა სხვა გზით. 2. თქვენ ეკითხებით—„მართალია თუ არა ის ამბავი, რომ ღარიბი ოჯახი სახლიდან გაჰყიდის ნივთებს, იყიდის 2—3 ფუთ ხორბალს, უცბად გათამამებული ავაზაკები შეუცვივდებიან და სტაცებენო". და ამავე დროს წინადადებას გვაძლევთ თუ ჩვენს ასეთ თქმას საჩუქრად პროვოკაცია არ უდევს, კანკრეტიულად გიპასუხოთ ასეთ შემთხვევაზე.

—აი ინებეთ:

ამ სამი კვირის წინედ, ე. ი. 11 ენკენისთვეს, „გონჩარნი" ქუჩაზე მოქალაქე ჩუგუნიძის ბინაზე შეიპარა ქურდი-ავაზაკი განთიადის ასე 5—6 საათზე. ჩუგუნიძემ ეს ამბავი მაწრაფულ შეიტყო, გამოეკიდა, მაგრამ ქურდი გაიქცა. გაქცეული ქურდი ეწვია ახალ-არსენალის ქუჩას, შევიდა მეჩექმე პეტრუზა შახმაზიანცის სახლში, მოიპარა ნივთები, 20 გირვანქა ხორბალი. ქურდი გადმოვიდა ამატუნის ქუჩაზე, ერთ გაშლილ და ცარიელა ალაგზე ბალახებში დამალა ნადავლი" და ამის შემდეგ ისევ ეწვია მეორეთ ახალ-არსენლის ქუჩას, შევიდა მიხეილ ქართველიშვილის ბინაზე, მოჰპარა 2 ფუთი ხორბალი, დიალ, ხორბალი, რომელიც ღარიბ-დატაკმა ოჯახმა ნივთი გაჰყიდა და გაქურდვის წინა საღამოს ნაყიდი ხორბალი სოფ. სადარე ჯოდან ჩამოიტანა. ქურდი შეიპყრეს, მაგრამ არ არის საჭირო აქ იმის აღნიშვნა, თუ როგორ შეიპყრეს ან რა მოუვიდა მოპარულ ნივთებს, ამის შესახებ შეგიძლიანთ დაწვრილებით დაჰკითხოთ მე-8-ე კომისარიატის თანამშრომელს ივანე ათაბეგს, რომელიც ამ საქმეზე მუშაობდა. ის გეტყვით აგრეთვე ჩემს შესახებაც ცოტა რამეს.

აი ამხ. ჩხეიძე კონკრეტიულად იმ შემთხვევაზე მითითება, რომელიც თქვენ მოგვეთხოვეთ და რომლის შესახებაც ოქმები მომხდარი შემთხვევისა კომისარიატის სამმართველოში უნდა ინახებოდეს. ჩვენი პირველი წერილის დაწერაც სწორედ ამ მომხდარმა შემთხვევამ გვაიძულა:

რაც შეეხება კერძოდ ჩემს გაქურდვას, ამაზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ჩემი სახლი „გაქურდეს—დღისით, მზისით, წაიღეს დიდი და ძვირფასი ხალიჩა მეორედაც გაგვქურდეს, მაგრამ ძალიან „სინიდისიერად" გასტეხეს ჩემი და ჩემი ქვრივი დარიგი რძლის სახლი, წაიღეს თითქმის ყველაფერი, ხაცვლებიც კი. ჩემი სახლის გამქურდველი ვიცოდი ვინც იყო, მაგრამ მასზე ჩვენი მიტანაც კი კი ამიკრძალეს, რადგანაც ის „წითელი არმიელი" გახლდათ—ეს გმირი იყო ალამბარაშვილი, რომელიც უკვე დახვრეტილია.

გეტყვით მეტსაც—ჩემს გაძვალტყავებულ ოჯახს კიდევ ეწვივნენ ქურდები, მაგრამ „ბედმა გამიღიმა" დროზე შევიტყვეთ და მეზობლების დახმარებით სამნივენი შევიპყარით და გადავეცით მილიციონერს პავლე სარქისოვს, შეგიძლიანთ მასაც აგ. ათაბეგის საშუალებით დაკითხოთ.

თქვენ ამბობთ, რომ ამ ბოლო დროს ქურდობამ და სხვა და სხვა სახის ავაზაკობამ იკლოვო. მერე და ვინ გეჩივლებათ ამხ. ჩხეიძე ამაში? მით უკეთესი, თუ კი იკლო, ჩვენ ამაში არა ნაკლებად ვართ დაინტერესებული. ჩვენი სურვილი არის არა თუ ქურდობის შენელება, არამედ მისი მთლად განადგურებადა ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მილიციაში დისციპლინის განმტკიცებაზე. ქურდობის მოსპობის შემდეგ მორიგი საკითხი იქნება—პროსტიტუციის მოსპობა. ყოველი მოქალაქის მოვალეობაა სოციალისტურ „სახელმწიფოს „ადმინისტრაციას წესიერებ ს აღდგენაში რითაც კი შეუძლიან ხელი შეუწყოს და თუ ამ მოქმედების პროცესში რომელიმე მოქალაქე, აღნიშნავს ამა თუ იმ დადებითი თუ უარყოფითი მხარეებს—ეს ამბავი თავის დღეში პროვოკაციად არ უნდა გავიგოთ.

ასე გვესმის ჩვენ მოქალაქის პირდაპირი მოვალეობა—პირდაპირი.

მართალია ჩვენ პარტიული კაცი გახლავართ, მაგრამ ჩემის გაგებით პარტია და სახელმწიფო ერთი არ არის. და როდესაც მე, როგორც მოქალაქე, ქალაქის მყუდროების დაცვაში მონაწილეობას ვღებულობ—ამას მიკარნახებს მე მოქალაქეობრივი შეგნება და მოვალეობა. მილიციონერის სიცოცხლე მუდამ ხალხის თავდაცვის სამსხვერპლოზე სდგას, ეს ჩვენ ძალიან კარგად გვაქვს შეგნებული და ამიტომ ვამბობთ: ვინც ადმინისტრაციას, თუნდაც ამ შემთხვევაში კერძოდ მილიციას ხელის შეწყობის მაგიერ—ხელს შეუშლის—დასაგმობია.

მოქალაქე დ. მ—შვილი.

# მოწერილი ამბები

სოფელ ხაშმის საზოგადოებამ (გარეკახეთში) ამ სამი წლის წინად მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგების საქმეში. ამ სადგურთან უნდა მოეწყობილიყო წისქვილი, სახერხი ქარხანა, ელექტრონის ძალის მომცემი მანქანა და სხ. პირველხანად წისქვილი მოეწყო, მაგრამ განზრახული გეგმა კი ჯერჯერობით სხვა და სხვა მიზეზით სავსებით ვერ აღსრულდა. ს. ხაშმის მხრით ამ საქმეში რწმუნებულად იყო არჩეული იოსებ იმედაშვილი, რომელმაც გასულ კვირას საზოგადოებას ვრცელი მოხსენება წარუდგინა. ამის გამო საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „1921 წ. ღვინობისთვის 2-სა დღესა ს. ხაშმის საზოგადოებამ მოისმინა დღევანდელს ყრილობაზედ ჩვენის რწმუნებულის იოსებ იმედაშვილის მოხსენება ჰიდრო-ელექტრონის სადგურისა და წისქვილის „იორას" ალმშენებლობითი და წარმოების საქმის შესახებ და რადგან საზოგადოება დარწმუნებულია იმედაშვილის გულწრფელ და ენერგიულ მუშაობაში, ამისათვის უცხადებს მას მადლობას და აგრეთვე იმათაც ვინც ჩვენს გაჭირვებული მდგომარეობის დროს ხელს უწყობდა მატერიალურად ხაშმის საზოგადოებას ჩვენის რწმუნებულის იმედაშვილის საშვალებით, მაგ. როგორც ს. ბენდუქიძე და მისი თანამგრძნობელი ამხანაგობა ჩვენს საქმეში. ამასთანავე ხაშმის საზოგადოება სთხოვს ჩვენს რწმუნებულს იმედაშვილს, მოაგვაროს დამთავრების საქმე ბენდუქიძესთან." და სხ.

მოსაგვარებელი კი ჯერ ბევრია. ამ სადგურის პირველი ინჟინერის დაუდევრობით თვით წისქვილის არხსაც კი საფუძვლიანი შეკეთება და ტურბინას გადაკეთება ეჭირვება თურმე. გარდა ამისა, ს. ხაშმის საზოგადოების ნატვრა იყო ელექტრონის სინათლის მიღება, თორემ წისქვილი შიგ სოფელშივე აქვს. (ბერებისეული) ამ ელექტრონის გამოყვანაზეა დამოუკიდებული წყაროს გამოყვანაც. თუმცა წყაროსათვის სოფელში უკვე მილებია მოზიდული, მაგრამ სოფელი ამბობს, ჯერ ერთი საქმე გვიჩვენეთ სინათლეს რომ შევჰპირდით გამოიყვანეთ და მერე წყაროს საქმეს შეუდექითო. აი, ნწორედ ამიტომ საჭიროა ჩვენმა რწმუნებულმა და ამხანაგობამ დროით მოაწყონ ელექტრონის საქმე. ეს დიდი და ახალი საქმეა ჩვენს მხარეში და თვით მთავრობისაგან ხელის შეწყობა ეჭირვება. შეწყობის მაგიერ კი თითქოს განგებ ხელს უშლიან. წისქვილს ჯერ თავისი ვალებიც ვერ მოუშორებია დღე და დღე ახალ ხარჯებს თხოულობს. ამ ქვეყნად თვით ტურბინის გაფუჭების გამო წისქვილი შეჩერებულია და თვიურს კი 40 ფუთს გადასახადს მოითხოვენ. ამ საქმეში ხაშმის საზოგადოებამ ისეთ დროს ჩაყარა ფული, როცა თითონაც უჭირდა. საჭიროა, რომ თუ დღეს თუ ხელი არ მოუმართეს, ვისგანაც ჯერ არის, საზოგადოებას გული გაუტყდება და შემდეგში საერთო საქმეზე თოკიდაც ვერ მოიარება.

ამ ჰიდრო-ელექტრონის დაგვირგვინებას კი დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს მთელი რაიონისათვის. აქ მოეწყობა სინათლის მომწოდებელ ხელ საწყოთა გარდა, სახერხი ქარხანა, შეთის გამოსახდელი ქარხანა და სხ.

საზოგადოებამ ამ საქმის რწმუნებულება ისევე ი. იმედაშვილს მიანდო და მადლობა გამოუცხადა ამხანაგობას. ვუსურვოთ დროით დაგვირგვინებინოთ ეს დიდი საქმე.

დამსწრე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის უწყების ქვეშ მყოფი
პირველი ქართული საბუღალტერიო კურსები
ალ. გ. საათაშვილისა
ბუღალტერიის ყველა საგნების სწავლა სპეციალურად ქართულ ენაზე. პირობის გაგება შეიძლება დილის 9—12 საათამდე და ნაშუადღევის 3—7 საათამდე. მისამართი: ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (1-ლი სამილიციო უბანი), უნივერსიტეტთან ახლოს. ტრამვაის ვაგ. № 5.


სტამბა „სახალხო საქმე" ... 4